№ 81

შაბათი, 14 აპრილი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 81

შაბათი, 14 აპრილი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

იაკობ ივანეს ძე გოკიელი, შვილნი მისნი: ექიმები: **ივანე და სვიმონ, ალექსანდრე, ფრანჩესკო პავლე** და **სტეფანე იაკობის** ძენი, **როზალია იაკობის ასული და ანნა იაკობის ასული დემუროვისა, ალოიზ და რაფაელ ეზიკოვები და სალომე სიმონის ასული საფაროვისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ქ. ქუთაისში, 11 აპრილს, დილის 6 საათზედ, ხანგრძლივისა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, პირველი თავისის საყვარელის მეუღლისა, მეორენი უსაყვარლესის დედისა და დანარჩენნი ძვირფასის დისას

ნატალიას სვიმონის ასულის გოკიელისას.

გარდაცვალებულის გვამს კათოლიკეთა ეკკლესიაში გაასვენებენ საკუთარის სახლიდგან (პუშკინის ქუჩა), ხოლო იქიდგან სასაფლაოზედ დასაკრძალავად 15 აპრილს. (2—69—2)

12 აპრილს, სოფ. ჯიხაისში, გარდაიცვალა ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტი

სიმონ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე.

მისი ამხანაგები სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ კვირას, 15 აპრილს, შუადღის 12 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (2—უ.—1)

ქართული თეატრი

კვირას, 15 აპრილს,

არტისტი-ქალი **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა**
გამართავს წარმოდგენას ქ ნ მ. მ. საფაროვის მონაწილეობით.
წარმოდგენილი იქნება

ხათაბალა

კომედ. 4 მოქ. და 5 სურ. თხზ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნნი საფაროვისა, გაბუნია ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ნებიერიძისა; ბ ნნი აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ $8^{1}/_{2}$ საათზედ.

სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 6 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის ¹. გედევანიშვილისა
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (გარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^{1}/_{2}$—2 საათ.

სალამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

გ. ვ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

შ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანახიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

სალამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^{1}/_{2}$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არშანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ კოლეჟსკი ასესსორობა: პეტროვსკის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს გელოვანსა და ტფილისის 1-ლ ნაწილის სამოსამართლო ბოქაულს ნათიშვილს, სიღნაღის სამაზრო ხაზინის კანცელარიის მოხელეს ლაპიაშვილს.

ახალი ამბავი

⁂ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, 12 აპრილს

ფელეტონი

უცხოთა შორის

რამდენი კაცი იმსხვერპლა ომმა 40 წლის განმავლობაში და სახელმწიფოთა სიმდიდრე.—სასოფლო მეურნეობა და სამეურნეო სასწავლებლები ფინლიანდიაში.—ლოთობის წინაამდეგ მებრძოლთა საერთა-შორისო კრება.—„ხანში შესული ქალწულნი“ ანუ „старыя дѣвы“.—მოსამსახურე მოახლეთა მიტინგი.

უკანასკნელმა ომებმა და სისხლის ღვრამ სამხრეთ-აფრიკასა, ჩინეთსა და სხვა ადგილებში თითქმის მთელი განათლებული ქვეყანა აალაპარაკა. ყველა უჩივის და ემდურის ესოდენ უკეთმართობასა და უსამართლობას; ყოველის მხრით გაისმის კვნესა და გოდება იმ ზარალისა და უზომო მსხვერპლის გამო, რომელიც ომს აუცილებლად თან ახლავს. ხოლო ეს ზარალი და მსხვერპლი მართლაც რომ უზომო და დიდია. აი, სხვათა შორის, პრუსიის სასტატისტიკო ბიუროს დირექტორს ერნსტ ენგელსონს რა საყურადღებო ცნობები შეუკრებია ორმოცის წლის განმავლობაში მომხდარ ომების შესახებ. ენგელსონის ცნობები 1850 წლიდგან 1890 წლამდე მომხდარ ომებს ეხება:

	რამდენი კაცი იმსხვერპლა:	რამდენი მილიონი მანეთი დაჯდა:
ყირიმის ომი 1853—56 წლ.	750,000	3,980
იტალიის ომი 1869 წ.	45,000	600
დანიის ომი	3,000	70
ჩრდილ. ამერიკ. შტატ. ომი 1861—1865 წ.:		
ა) ჩრდილოეთ შტატები	280,000	9,000
ბ) სამხრ. შტატები	520,000	4,600
ავსტრია პრუსიის ომი 1866 წ.	45,000	660
ექსპედ. მექსიკასა და კოხინხინაში	65,000	400
საფრანგეთ-პრუსიის ომი 1870—1871 წლ.:		
ა) საფრანგეთი	155,000	6,000
ბ) გერმანია	60,000	—
ბოლგარია-სერბიის აჯანყება	250,000	2,250
სამხრეთ აფრიკის ომები, ომები აშანტიებთან, მატაბელებთან და სხვებ.	30,000	$17^{1}/_{2}$
ავღანის ომი	25,000	$27^{1}/_{2}$
სულ	2,253,000	27,954

მარტო ორმოცმა წელიწადმა თითქმის ორ მილიონ ნახევარი ახალგაზდა, ჯანითა და სიცოცხლით სავსე კაცი იმსხვერპლა და 28 მილიარდი მანეთი შთანთქა უსარგებლოდ *). დაუმატეთ ამას ის ზარალი, რაც 1890 წლის შემდეგ მომხდარ ომებს მოჰყვა (იტალია აბაშეთის ომი, ესპანია ამერიკის ომი, საბერძნეთ-ოსმალეთისა, ინგლის-ტრანსვაალისა, ევროპა-ჩინეთის ომი) და ადვილად წარმოიდგენთ, ნახევარის საუკუნის განმავლობაში რამოდენი ადამიანის სიცოცხლე შეაკლა და ფული მოანდომა კაცობრიობამ ომსა და ერთმანეთის ჟლეტას.

ეჰვი არ არის, თუ არ ეს დაუღლელი ომები, სახელმწიფოთა სიმდიდრე და კეთილ-დღეობა ბევრად უფრო თვალ-საჩინო იქმნებოდა, ვიდრე დღესაა. ომებმა, განუწყვეტელმა შეიარაღებამ და საომრად გაწყობა-მზადებამ ბევრს, ოდესღაც მდიდარსა და ღონიერს სახელმწიფოს, გამოუთხარა ძირი და აუბნია წარმატების გზა-კვალი.

აი მეორე ცხრილიც, საიდგანაც მკითხველს ნათლად შეუძლიან გაიგოს, ამა თუ იმ სახელმწიფოში დღეს რაოდენადაა განვითარებული მრეწველობა, რამდენად ნაყოფიერია მუშის შრომა და რა სასყიდელი ეძლევა მუშას:

	რამდენ მილიონ მანეთის ნაწარმოები მზადდება:	ერთი მუშა რამდენ მანეთისას ამზადებს:	ერთი მუშა რიცხვით წელიწადში რამდ. მანეთი ეძლევა:
შეერთ. შტატ.	14,000	2,776	768
ინგლისი . .	8,100	1,580	408
გერმანია . .	5,820	1,180	310
საფრანგეთი .	4,490	1,180	550
რუსეთი . .	3,730	762	240
ავსტრია . .	3,250	—	300
ბელგია . .	1,200	1,180	350
იტალია . .	1,210	530	—
ესპანია. . .	850	—	240
შვეიცარია. .	320	874	300.

ამ ცხრილიდგან აშკარადა სჩანს, რომ შეერთ. შტატ. რესპუბლიკამ ბევრად გაუსწრო დანარჩენ სახელმწიფოებს. გასაოცარია განსაკუთრებით ამერიკელ მუშის შრომის ნაყოფიერება. რუსეთში მუშა წელიწადში მხოლოდ 762 მანეთის საქონელს ამზადებს, ამერიკელი მუშა-კი ოთხჯერ მეტს—2776 მანეთისას. სასყიდელიც ყველაზედ დიდი იმავე ამერიკაში ეძლევა მუშას, ხოლო ყველაზედ მცირე ჩამოთვლილს სახელმწიფოთა შორის—რუსეთსა და ესპანიაში.

* * *

წვრილ ერების ცხოვრებას თუ დავუკვირდებით, არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს კაცმა პატარა ფინლიანდიას. ვინ არ იცის, რა მწირი და ღარიბია ფინლიანდიის ნიადაგი, რა სუსხიანია იქაური ჰავა, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ფინლიანდიის მკვიდრნი მდიდარნი არიან და კეთილდღეობით თვით დიდად წარმატებულ ერებსაც არ ჩამოუვარდებიან.

---

*) ზემოდ მოყვანილ ციფრებში აღნიშნულია მხოლოდ ომში მტრის ტყვიისაგან მოკლულთა რიცხვი. არ არის ნაანგარიშევი რიცხვი არც ავადმყოფობისაგან გარდაცვლილთა და არც იმ დაჭრილთა, რომელნიც ომის შემდეგ გარდაიცვალნენ.

რკინის გზათა დეპარტამენტის დირექტორის ე. კ. ციგლერის თავმჯდომარეობით შემდგარს განსაკუთრებულს კომისიას კრება უნდა ჰქონოდა ახალ რკინის გზათა შესახებ მოსალაპარაკებლად. სხვათა შორის, კომისიას უნდა განეხილა ქიათურის შტოს განგრძობის საქმე დარკვეთიდგან საჩხერამდე.

⁂ კავკასიის ზოგიერთ ნაწილებში მცხოვრებთ სამხედრო ბეგარის ნაცვლად გადასახადი ერთმევათ. როგორც გაზ. „Россія“ გადმოგვცემს, მთავრობას გადაუწყვეტია გააუქმოს გარდასახადი და იმის მაგიერ მცხოვრებთ მამულის რაოდენობის კვალობაზედ გააწეროს ფული.

⁂ როგორც შევიტყეთ, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ბ ნ გუბერნატორისაგან ნება-რთვა მიუღია ნაძალადევის უბანში სახალხო იაფფასიან წიგნთ საცავ-სამკითხველოს დაარსებისა.

⁂ დღეს, 14 აპრილს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ექმნება კავკასიის გამოფენის გამმართველ კომიტეტს სხვა-და-სხვა მიმდინარე საქმის განსახილველად.

⁂ საქართველოს ექსარხოსმა, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ კავკასიის სამეურნეო გამოფენის გამმართველ კომიტეტში სასულიერო უწყების წარმომადგენლად დანიშნა ტფილისის პირველ დედათა გიმნაზიის სამღრთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი ნ. პოკროვსკი.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, გზათა სამინისტრომ ნება დართო, რომ კავკასიის მომავალ გამოფენაზედ გასაგზავნი ექსპონატები ამიერ-კავკასიის რკინის გზამ შეღავათით გადაიტანოს. ექსპონატების გადაზიდვა შეღავათიანის ტარიფით ამა მიმდინარე აპრილის 28-დგან შეიძლება.

⁂ ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ ამ დღეებში მოსთხოვა ქალაქის მოურავს ბ-ნ ევანგულოვს, რომ დაუყოვნებლივ წარუდგინოს გამგეობას ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორის, ბ-ნ რობის მიერ შეტანილი პროექტი მამადავითის გორაზედ ფუნიკულერის გამართვის შესახებ. როგორც შევიტყეთ, ფუნიკულერის შემუშავებული პროექტი გაიგზავნება საქალაქო საქმეთა საკრებულოს მიერ პეტერბურგში სპეციალისტ-ტეხნიკოსთა განსახილველად.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა მიიღო რკინის გზის უმთავრეს გამგეობისაგან შემდეგი ფული: ბაქოს სადგურის გადასაკეთებლად — 68,500 მან., მეისრეთა მთავარ გამგეობის მოსაწყობად 58,000 მ., ტფილისის საქონლის საწყობების გასაფართოვებლად — 30,000 მ., ქვალონის სადგურის გასაკეთებლად 18,678 მან., სულ 175,178 მან.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, შავი ქვის მწარმოებელთა საბჭოს ამას წინად მიუღია პროფ. ვ. მ. პეტრიაშვილისაგან ქუთაისში შავი ქვის გამოსაკვლევად განზრახულ საქიმიო ლაბორატორიის სანიმუშო ხარჯთ-აღრიცხვა და თვითონ პატივცემულს პროფესორს უკისრნია ამ ლაბორატორიის გამგებლობა. ზემოხსენებულ ხარჯთ-აღრიცხვით სამაგალითო ლაბორატორიის გამართვას დასჭირდება ერთხანად 20,000 მან., ხოლო ყოველ წლიურად მის შენახვას — 10,000 მ. სახლის ქირის გარდა.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, შემდგარა ინგლისელთა ამხანაგობა, რომელსაც აზრადა აქვს ამ ორის თვის შემდეგ შეუდგეს კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმეს.

⁂ ტფილისის ქალაქის საქმეთა საკრებულომ განიხილა ქალაქის საბჭოს დადგენილება ხმოსანთა ერთ საარჩევანო კრებაზედ ამორჩევის შესახებ და ეს დადგენილება უკანონოდ იცნო.

⁂ მომავალ სამეურნეო გამოფენის კომისარმა მოიწვია გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად ამიერ-კავკასიის რკინის გზა და სთხოვა მას წარადგინოს რკინის გზის სახელოსნოს ნაწარმოებნი, გააცნოს გამოფენაზედ დამსწრეთ რკინის გზის სკოლათა, საავადმყოფოთა და სხვა დაწესებულებათა მოწყობილობა.

⁂ 11 აპრილს, ტფილისის ქალაქის გამგეობას სხდომა ჰქონდა ქალაქის ქუჩების მოკირწყვლის შესახებ მოსალაპარაკებლად. გამგეობამ დაადგინა: მიანდოს ქალაქის ინჟენერს ტ. ა. ენფიანჯიანცს შეადგინოს ქუჩების მოსაკირწყლად საჭირო ქვისა და ქვიშის კონდიციების პროექტი, აგრეთვე შეიმუშავოს ქვა-ფენილზედ მუშაობის წეს-რიგი; მიანდოს გამგეობის წევრს თავ. ჩერქეზიშვილს გამოსძებნოს მესამე ადგილი მასალების დასაწყობად; დაავალოს ქალაქის ტეხნიკოსებს თვალყური ადევნონ ქვა-ფენილებზედ მუშაობას.

⁂ რადგანაც ვერაზედ, ჯვრის პირდაპირ, ტფილისის სასულიერო სემინარიის სადგომის ასაშენებლად ამ რამდენისამე წლის წინად შეძენილი ადგილი, ზომით 5,956 ოთხკუთხი საჟენი, საბოლოოდ ცნობილ იქმნა ამ საგნისათვის მცირეთ და აგრეთვე შეუფერებლად, ამის გამო სემინარიის გამგეობა სცდილობს შეიძინოს ახალი, უფრო გამოსადეგი და შესაფერი ადგილი სემინარიის მომავალ შენობისათვის, ხოლო ზემოხსენებული ადგილი გაჰყიდოს. ადგილი მდებარეობს მაღლობზედ, რომლის ძირშიაც საქართველოს სამხედრო გზა გადის, და რომელიც (ადგილი) შესანიშნავია თვისის საღი ჰაერით. როგორც შევიტყეთ, ამ ადგილს მსყიდველები უკვე გამოსჩენიან და სემინარიის გამგეობას 60,000 მან. თურმე აძლევენ.

⁂ ბათუმში დაუარსებიათ ახალი კლუბი „ბათუმის საკომერციო საკრებულო“.

⁂ ხუთშაბათისათვის დანიშნული ქალაქის საბჭოს სხდომა არ შესდგა ხმოსანთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

⁂ ქალაქის გამგეობამ 11 აპრილის სხდომაზედ ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთათვის საპენსიო კასსის დაარსების შესახებ დაადგინა: მიენდოს სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს სტეფანოვს მოიწვიოს მოსამსახურენი საზოგადო კრებაზედ საპენსიო კასსის პროექტის ზოგიერთ მუხლის ცვლილებათა მოსახდენად და წარუდგინოს გამგეობას საპენსიო კასსის წესდების საბოლოოდ შემუშავებული პროექტი.

⁂ კავკასიის წყალთა გამგეობის განკარგულებით მუღანის მინდორის წყლით მორწყვის საქმისათვის გაგზავნილ იქმნა სპეციალისტთა დასი, რომელიც შესდგება 15 ტეხნიკოსისაგან.

⁂ იმპერატრიცის მარიამ ალექსანდრეს ასულის ბრმათათვის სამზრუნველოს კავკასიის განყოფილებას განუზრახავს მომავალ სამეურნეო გამოფენაში ბრმათა სკოლის მოსწავლეთა ნაწარმოებნიც წარადგინოს.

⁂ კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის გამგე კომიტეტს უკვე გაუცია იჯარადრებისათვის გამოფენის უმთავრეს შენობის აგების საქმე.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატარებელთა მიმოსვლის უფროსი ცირკულიარით აცხადებს, რომ ზოგიერთი კონდუქტორნი ვაგონების სახურავებზედ ადიან თურმე და ამით აფუჭებენ, ამსხვრევენ, რის გამო ხშირად წვიმა სწვეთს შიგ ვაგონში და ასველებს ხოლმე ძვირფას ბარგს, რაიცა დიდს ზარალს აძლევს რკინის გზას. ამისათვის ბ ნი უფროსი სასტიკად აღუკრძალავს კონდუქტორებს ვაგონების სახურავებზედ ასვლას და ავალებს უფროს აგენტებს თვალყური ადევნონ ამ გარემოებას.

⁂ გუშინწინ, 12 აპრილს, ერევნის ქუჩაზედ უეცრად ცეცხლი გაჩნდა თაიროვის და ამხ. საპნის ქარხანას. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა ის ყოფილა, რომ ქონის ადუღების დროს ქვაბიდგან წვეთები ჩავარდნილა ცეცხლში და იქიდგან ავარდნილი ალი ისე უეცრად მო-

---

ფინლანდიელთა ცხოვრების უმთავრესს სახსარს სასოფლო-მეურნეობა შეადგენს. წინად ფინლიანდიელნი მიწად-მოქმედებას მისდევდნენ, მაგრამ 30 წელიწადი იქმნება, რაც მათ სასოფლო მეურნეობის ამ დარგს თავი მიანებეს და საქონლის მოვლა-მოშენებას მიჰყვეს ხელი. მწირი ნიადაგი და ჩრდილოეთის ჰავა კარგს მოსავალს არ იძლეოდა, სამაგიეროდ თვალ-გადაუწვდენელი იალაღი და საძოვარი მინდვრები მეტად ხელ-შემწყობი იყო საქონლის მოშენებისათვის. 30 წლის მეცადინეობამ გაამართლა ფინლიანდიელთა მოლოდინი. დღეს მკვიდრთ საუკეთესო ჯიშის საქონლის მოშენება მეტად დიდ სარგებელს აძლევთ. სამაგალითოდ მოაწყეს მათ მერძეობის საქმე; თავიანთ ნაწარმოებს მკვიდრი ნიადაგი მოუპოვეს გერმანიასა და განსაკუთრებით ინგლისში. მარტო ერბო რამდენიმე მილიონ მანეთისა გააქვთ ფინლიანდიიდგან ინგლისში. მოაწყეს რკინის გზებზედ ვაგონები ერბოს გადასაზიდად, გამართეს ყინულის საპობი ხომალდები, ასე რომ გემები ზამთარ-ზაფხულს დაიარებიან ფინლიანდიასა და ინგლის შორის, დაარსეს სანავოსნო საზოგადოებანი და სხვა.

რაღა ლაპარაკი უნდა, სასოფლო მეურნეობის ამ გვარ წარმატების უმთავრეს მიზეზს სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელება შეადგენს. ხოლო ამ საქმეს ფინლიანდიის ადგილობრივი მთავრობა მეტად დიდ ყურადღებას აქცევს. სასოფლო მეურნეობის საქმეს განაგებს განსაკუთრებული მთავარი გამგეობა, რომელიც სენატს ექვემდებარება. დირექტორსა და მოხელეთა გარდა (მოხელეთა რიცხვი მცირეა) ამ გამგეობის საქმეებში დიდ მონაწილეობას იღებს სამი წევრიც, რომელთაც სენატი ჰნიშნავს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან. პროვინციებში მთავრობის წარმომადგენლებად მეურნეობის საქმეში აგრონომები, ინჟენერები და ინსტრუქტორები არიან. ყველა ესენი ვალდებულნი არიან დაემარნენ სოფლელთ, რჩევა-დარიგება მისცენ ხოლმე და სხვა. სულ 16 აგრონომია, 3 ინჟინერი და 8 ინსტრუქტორი. რასაც მთავრობის მოხელენი ვერ ასწრობენ, იმას სასოფლო სამეურნეო საზოგადოებანი აკეთებენ. ასეთი საზოგადოება თორმეტია ფინლიანდიაში. ამას გარდა ყველა კომმუნაში სასოფლო-სამეურნეო კავშირი არსებობს. იმართება აგრეთვე დრო-გამოშვებით გამოფენები, სოფლის მეურნეთა კრებები და სხვ. მერძევეთა საზოგადოებას საკუთარი აგენტი ჰყავს ინგლისში, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ინგლისის ბაზარს. ძალიან გამრავლდა ამ ბოლოს დროს ფინლიანდიაში აგრეთვე მწარმოებელ და მომხმარებელ საზოგადოებათა რიცხვიც.

სასოფლო-სამეურნეო სწავლა-ცოდნის გასავრცელებლად ფინლიანდიაში არსებობს 2 უმაღლესი სასწავლებელი, 22 დაბალი სამეურნეო სკოლა, 17 სკოლა საქონლის მოვლა მოშენებისა, 28 მერძეობის სკოლა და 10 საბაღოსნო სასწავლებელი. სასოფლო სამეურნეო სკოლების დაარსებას აფერხებს მასწავლებელთა რიცხვის სიმცირე. ამ ნაკლის თავიდგან ასაცილებლად და მასწავლებელთა მოსამზადებლად უნივერსიტეტთან დაარსებულ იქმნა აგრონომიის კათედრა. ამ რიგად სულ იქ 80 დაბალი, საშუალო და მაღალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელია.

ნუ დაივიწყებთ, რომ ფინლიანდიაში დღეს სულ $2^1/_2$ მილიონი მცხოვრებია, ე. ი. თითქმის იმდენი, რამდენიც საქართველოშია!

⁂

ფინლიანდიელებისთანა მშრომელსა და ფხიზელს ხალხს სხვაგან სადმე ძნელად შეჰხვდება კაცი. ლოთობა, ალკოგოლიზმი, ეს ყველა სენზედ მავნებელი და დამღუპველი სენი, ფინლიანდიისათვის თითქმის უცნობია. ხოლო, ვინ არ იცის, რა ვნება და ზარალი მოაქვს ამ სენს თვით დიდად კულტურულ სახელმწიფოებისათვისაც-კი. კარგა ხანია მთავრობანი ბრძოლას შეუდგნენ ამ სენის წინააღმდეგ; ამავე აზრით ამას წინად ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლთა საერთა-შორისო კრებაც გაიმართა ვენაში.

დიდ-ძალი მაგარი სასმელი იხარჯება ყოველ წელიწადს. საკმაოა რუსეთი ავიღოთ და შემდეგი ციფრები მოვიყვანოთ. 1895 წელს რუსეთში მუშაობდა 2,127 ქარხანა, სადაც იხდებოდა 78,756,966 ვედრო 40° არაყი. ამას გარდა არსებობდა 5,134 სხვა ქარხანაც, სადაც ხილისა და ჰაჯის არაყს ამზადებდნენ, სულ 2 მილიონ ვედრას; 1,066 ლუდის საკეთებელი ქარხანა, სადაც 39 მილიონ ვედრო ლუდს ამზადებდნენ, და სხვა.

საერთა შორისო კრება, როგორც ზემოდაცა ვთქვით, ვენაში გაიმართა, პირველი სხდომა 28 მარტს მოხდა. კრებაზედ, მეცნიერთა და მკურნალთა გარდა, გამოცხადდა მრავალი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და მწერალი. ამას გარდა მთავრობებმა თავიანთი წარმომადგენლებიც გაჰგზავნეს. დაესწრნენ აგრეთვე სამღვდელოების წარმომადგენელნი, კათოლიკეთა და პროტესტანტთა ეპისკოპოსები. კრების დარბაზი სავსე იყო ხალხით. პირველი სიტყვა კრების საპატიო თავმჯდომარემ, ავსტრიის საერო განათლების მინისტრმა გარტელმა წარმოსთქვა. ბევრნი განცვიფრდნენ, როდესაც გარტელმა სთქვა, რომ მოსწავლე ახალგაზდობის 50% ეტანება მაგარ სასმელებსაო. იმავე მინისტრის სიტყვით, დამნაშავეთა და სულით ავადმყოფთა დიდ პროცენტს ყველგან ალკოგოლიკები შეადგენენ.

გარტელის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ავსტრიის მინისტრ პრეზიდენტმა კერბერმა, მერე სხვა-და-სხვა წერილისა და მოხსენების კითხვას შეუდგნენ. კამათის დროს კრება თითქმის ორ თანასწორ ბანაკად გაიყო: ერთი საჭიროდ სცნობდა სრულიად ხელის აღებას მაგარ სასმელებზედ, მეორე — ამ სასმელების ზომიერად ხმარებას. პირველნი ალკოგოლს შხამად სთვლიდნენ; იმათის აზრით, მაგარი სასმელი, თუნდაც ერთი ჰიქა დალიოს კაცმა, ვნებს და ასნეულებს სხეულს; მეორეთა აზრით-კი, ზომიერად ხმარებული ალკოგოლი, ამაგრებს და აღონიერებს სხეულს.

დიდი კამათი, მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი გამოიწვია პირველსავე სხდომაზედ მკურნალის მეინერტის სიტყვამ. მეინერტმა იმით დაიწყო, რომ საზოგადოების განათლებულმა ნაწილმა პირველმა უნდა აიღოს ხელი მაგარ სასმელებზედ და მაგალითი უჩვენოს გაუნათლებელ ნაწილსაო. მაგრამ, — განაგრძო ორატორმა, — ცხოვრებაში სულ წინ აღმდეგსა ვხედავთ. უპირველეს ყოვლისა მკურნალებს მივაქციოთ ყურადღებას და მართალს არავის წინაშე არ დავმალავ. მკურნალებმა ყველაზედ უკეთ უწყიან, რა ვნება მოაქვს მორფის, მაგრამ ამავე დროს მკურნალები სხვებზედ მეტად ეტანებიან. ამასვე ვხედავთ ალკოგოლიზმის საქმეში. უნივერსიტეტში თითქმის ყველა სტუდენტი სვამს მაგარ სასმელებს. სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტები თითქოს უნივერსიტეტში სწავლობენ ლოთობას. განათლებულთა შორის მრავალია ლოთი, მაგრამ ყველას მაინც ამ საქმეში მკურნალები სჭარბობენ. ჩემი ნათქვამი ცარიელ სიტყვებად არ ჩასთვალოთ, შემიძლიან ციფრებით დაგიმტკიცოთ ყველა ეს; შემიძლიან დავამტკიცო, რომ ალკოგოლიზმი ხშირად მკურნალთა დასნეულებისა და სიკვდილის მიზეზია ხოლმე.

ამ სიტყვამ ერთი აურ-ზაური და ალიაქოთი გამოიწვია სხდომაზედ. მკურნალები, კონგრესის წევრნი, აღელვებულნი და აღშფოთებულნი, სკამებს აბრახუნებდნენ და ხმა მაღლა გაკიოდნენ: „შორს ჩვენგან ორატორი, გაიყვანეთ გარეთ!“ ამავე დროს გარეშე საზოგადოება, კრების არა წევრნი, ორატორის ყოველ სი

სდებაა მთელს შენობას, რომ ნახევარ საათში ქარხნის პატრონებს 8000 მან. ზარალი მოუვიდათ. ცეცხლი ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა. ქარხანა დაზღვეული ყოფილა 3500 მანეთად „როსიის" საზოგადოებაში.

*** ძეგამი. ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ მე-462 ვერსზედ დილის 3 საათსა და 45 წუთს ლიანდაგთან ჰნახეს გვამი გაჭყლეტილის მუშის, მირზა ჰუსეინ-ოღლისა. არ იციან, ჰუსეინ-ოღლი რომელმა მატარებელმა გაჭყლიტა.

*** ვარვარინოს სადგურიდგან გვატყობინებენ, რომ მატარებლის № 165 კონდუქტორს ნ. ცარიცს მიეპარა უკანიდგან მეორე მატარებლის № 258 კონდუქტორი, ქვა ესროლა ცხვირ-პირში და ორი კბილი ჩაუმტვრია.

*** ოთხშაბათს, 11 აპრილს, პოლიციის მე-10 ნაწილში ვიღაც ბოროტ-გამზრახველს შეურჩევლის გასაღებით გაუღია ტფილისის მოქალაქის ნიკოლოზ ივანეს ძის ქერძოვაძის სახლი, საიდგანაც მოუპარავს 1050 მანათი. ქერძოვაძეს ეჭვი განუცხადებია ტფილისში მცხოვრებელ ლუკა მახარაძეზედ.

შეცდომის გასწორება: „ივერიის" № 71-ში, ფელეტონის მესამე გვერდზედ, მე-3 სვეტზედ, მეორე სტრიქონში შეცდომით არის დაბეჭდილი: ნამდვილი ქმარი იყავი... უნდა იყოს: ნამდვილი კაცი იყავი... შემდეგს ფელეტონში № 75, პირველს გვერდზედ, მე-10 სტრიქონშიაც შეცდომით არის: იყავ ქმარიო.., უნდა იყოს: იყავ კაციო!..

შემოწირულება

ქნ. რუსუდან დიმიტრის ასულმა მელიქიშვილისამ შესწირა 10 ცალი სხვა-და სხვა ძვირფასი ნივთი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას საქველმოქმედო ბაზრისათვის, რომელიც გაიმართება ტფილისში მომავალ მაისს.

სამედიატორო გადაწყვეტილება შესახებ პოლემიკისა, რომელიც ალიძრა თ. ნ. თავდგირიძის და ნ. ჟორდანიას შორის.

მაისში 1900 წელსა თ. ნ. თავდგირიძის და ნ. ჟორდანიას შორის ალიძრა ქართულ მწერლობაში პოლემიკა. რადგანაც ამ პოლემიკამ არ დააკმაყოფილა არც ერთი მოწინააღმდეგე მხარე, ბ. თავდგირიძემ მოითხოვა სამედიატორო სამართალი („ივერია" № 123) და მედიატორებად ბ.ბ. იაკობ ღულაძე და ვარლამ ჭიჭინაძე დაასახელა. ბ. ჟორდანია დათანხმდა და თავის მხრივ დაასახელა მედიატორებად ბ.ბ. ივანე ჯაბადარი და ალექსანდრე შატილოვი. თავმჯდომარედ მედიატორებმა მოიწვიეს ბ. სვიმონ ვახვახიშვილი.

საქმის გარემოება შემდეგია:

1900 წლის 8 მაისს ქუთაისის სათავად აზნაურო კრებაზე ს. ხუნდაძის წინადადებით იყო სჯა თავად-აზნაურთა ცენზის შემცირების შესახებ. ამ საგნის გამო ბ. თავდგირიძემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც „ცნობის ფურცლის" 1124 №-ში ასეა გადმოცემული:

„უნდა ვითხოვოთ, — თავად-აზნაურთა მაზრის კრებას თვით მიეცეს უფლება თავისი კეთილი წევრები თავისი არჩევნებით სცნოს ღირსად გუბერნიის კრებაში მონაწილეობის მიღებისა".

„კვალმა" 21 №-ში დაბეჭდა წერილი, რომლისათვისაც პასუხის გება იკისრა ბ. ჟორდანიამ, და ამ წერილში ბ. თავდგირიძის სიტყვიდგან შემდეგი დასკვნა გამოიყვანა: „ხოლო თ. ნ. თავდგირიძემ სრულებით საჭიროდ არ სცნო ცენზის შემცირება, მან სთქვა"... (მოყვანილია მთლად ზემოხსენებული ბ თავდგირიძის სიტყვა), „ე. ი. ცენზი, — განაგრძობს „კვალში" მოთავსებულის წერილის ავტორი, — როგორც არის, ისე იყოს, ხოლო ახალ წევრების მიღება ისევ ჩვენ მოგვანდევითო! აი ასე შეხედეს ამ კითხვას ორმა განათლებულმა ახალგაზდა თავადმა (ბ. თავდგირიძემ და ბ. კ. აბაშიძემ), რომელნიც არა ერთხელ გვეფიცებოდნენ, რომ „კვალს" არა სჯერა, თვარა ჩვენ დიდი დემოკრატები ვართო! ამიერიდგან მაინც ყველა გაიგებს იმას, თუ როგორ დაამდაბლეს ამ ვაჟბატონებმა—განათლება და მის ალაგას სიმდიდრე აამაღლეს".

ბ. თავდგირიძემ ამ სიტყვებში დაინახა თავის აზრის განძრახ დამახინჯება იმ მიზნით, რომ წერილის ავტორმა გაუტეხოს მას სახელი ქართველ საზოგადოებაში.

სამედიატორო სამართალს მინდობილი ჰქონდა გასარჩევად შემდეგი კითხვები:

1, ბ. თავდგირიძის წინადადება: „ჰქონდა თუ არა ბ. ნოე ჟორდანიას, როგორც „კვალის" ფაქტიურ რედაქტორს, ზნეობრივი უფლება იმ საჟევ, გამოურკვეველ და მცირე მასალის შემწეობით, რომლებიც მას მოეპოვებოდა, ისე გარდაწყვეტით, დაბეჯითებით ელაპარაკა ჩემ საზოგადო მოქმედების მიმართულების ხასიათის შესახებ, როგორც მოხსენებული იყო „კვალის" მე 21 №-ში, № 31, № 34, № 41" („ივერია" № 123).

ბ. ჟორდანიამ თავის მედიატორებთან მიმართულ წერილში დააყენა გასარკვევად შემდეგი კითხვები: 2, „რამდენად მართალია ბ. თავდგირიძის ბრალდება იმის შესახებ, რომ ვითომ „კვალის" მე 21 №-ში მოთავსებულია სრულიად გადამახინჯებული ამბავი ქუთაისის აზნაურთ საქმეების შესახებ ბ. თავდგირიძეზე, რომ მას ასეთი არა უთქვამს რა, „რასაც ჩვეულებრივ ნაძალადევ საშუალებით ბრალად გვდებს „კვალის" რედაქცია („ივერია" № 115)".

3, „რამდენად მართალია „კვალის" ბრალდება, რასაც ბ. თავდგირიძემ „ხრიკები" უწოდა (№ 123) იმის შესახებ, რომ მან ერთი ციტატა გამოიგონა, ხოლო მეორის ნახევარი, სწორედ ის, რომელმაც დავა გამოიწვია (ბ. აბაშიძის სიტყვები), გადამახინჯებულად მოიყვანა".

სამედიატორო სამართალს ჰქონდა ამ საგანზედ ტფილისში სჯა თავის სხდომებზედ 1900 წელს 20 და 27 ივნისს, 1901 წელს 13 და 20 იანვარს, 26 მარტს და 10 აპრილს, სადაც განიხილა ქუთაისის სათავადაზნაურო კრების ანგარიში, რომელიც დაბეჭდილია „ცნობის ფურცელში" 1900 წელს 1123 და 1124 ნომრებში, აგრეთვე „კვალის" 21 და 23 ნომერში და „ივერიის" 115 და 123 ნომრებში დაბეჭდილი წერილები და ერთ ხმად გადასწყვიტა:

1, „კვალის" 21 და 23 ნომრის წერილში, რომელიც დაფუძნებულია ზემოხსენებულ „ცნობის ფურცელში" დაბეჭდილ ანგარიშზე, არავითარი ფაქტიურ მასალის გადამახინჯება არ არის.

2, მეორეს მხრით, ბ. თავდგირიძის პასუხში, რომელიც დაბეჭდილია ივერიაში (№ 115), „ცნობის ფურცლიდგან" ციტატები სწორედ არ არის მოყვანილი; მაგრამ ეს შეცდომები უნდა ჩაითვალოს უფრო კორრექტიულ შეცდომებად.

3, თუმცა ცხადად არა სჩანს „ცნობის ფურცლის" ანგარიშიდგან, რაში მდგომარეობს ბ. თავდგირიძის პროექტი, მაგრამ ის დასკვნა, რომელიც დაადგინა „კვალის" 21 №-ში მოთავსებულ წერილის ავტორმა ამ პროექტის შესახებ, ვითომ ბ. თავდგირიძემ ილაპარაკა კრებაზე ცენზის შემცირების წინააღმდეგ, არ შეესაბამება არც მთლად მის ხელში ყოფილს მასალას საზოგადოთ, არც თვით ბ. თავდგირიძის პროექტს კერძოდ.

ეს სამედიატორო სამართალის გადაწყვეტილება დაიბეჭდოს „ივერიაში", „კვალში" და „ცნობის ფურცელში".

სამედიატორო სამართალის თავმჯდომარე ს. ვახვახიშვილი.

მედიატორები:
ივ. ჯაბადარი
იაკ. ღულაძე
ალ. შატილოვი
ვარ. ჭიჭინაძე.

რუსეთი

პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, მთავრობას ნება დაურთავს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის საქტო დარბაზში კრების მოხდენისა. კრება 9 აპრილს უნდა მომხდარიყო, დილის 10 საათზედ.

ტყვას „ვაშას" ძახილითა და ტაშის ცემით ეგებებოდნენ. ბოლოს კონგრესის პრეზიდენტმა გრუბერმა სთქვა, პრეზიდენტობას თავს გავანებებ, თუ მკურნალთა შეურაცხმყოფელმა ბოდიში არ მოიხადაო. მეორე დღეს მკურნალმა მეინერტმა ტრიბუნიდგან განაცხადა, რომ ჩემ მიერ ნათქვამის სიტყვებით არავის წყენა არ მინდოდა, ყოველს შემთხვევაში ბოდიშ მაინც ვიხდი იმათ წინაშე, ვინც ჩემი სიტყვები საწყენად მიიღოო.

* * *

ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის ქალებს საპატიო ადგილი უჭირავთ. ბევრგან ქალებმა მეტად სასტიკ ღონისძიებასაც-კი მიჰმართეს. ამერიკაში, მაგალითად, რესტორანები და სასმელების დუქნები მილეწმოლეწეს, თვით ლოთებს ხომ თავბედი აწყევლინეს. ამ შემთხვევაში ყურადღების ღირსნი არიან „ხანში შესული ქალწულნი", ანუ, როგორც რუსები ეძახიან, „старыя дѣвы". ყველაზედ მეტად ეს ქალწულნი „იღვწიან" და მეცადინეობენ კაცობრიობის გაბედნიერებისა და გაკეთილშობილობისათვის.

დღევანდელმა სოციალურმა ვითარებამ მეტად შეუწყო ხელი ასეთ ქალთა რიცხვის გამრავლებას. განსაკუთრებით ინგლისია მდიდარი ხანში შესულ ქალწულთა რიცხვით, თუმცა იქაური ქალწულნი არა სწუხან გათხოვებისათვის, როგორც სხვა ქვეყნის „старыя дѣвы"-ს სჩვევიათ. ინგლისში ბევრნი განგებ არა თხოვდებიან და ნება-ყოფლობით ერიდებიან ქორწინებას. თავისუფლება და დამოუკიდებლობა იქაურ ქალებს ძალიან უყვართ. ამას გარდა სხვა მიზეზებიც ხელს უწყობს ქალთა გაუთხოვრობას. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ინგლისში დედაკაცთა რიცხვი სჭარბობს მამაკაცთა რიცხვს. ირლანდია და შოტლანდია რომ ანგარიშში არ ჩავაგდოთ, მარტო ინგლისში დედაკაცნი ერთის მილიონით აღემატებიან მამაკაცებს. შემდეგ, საშუალო წოდების მრავალი ყმაწვილი კაცი ახალშენში მიდის, რაიცა უფრო ამცირებს საქმროთა რიცხვს. გამოდის, რომ საშუალო წოდების მცხოვრებთა შორის დედაკაცთა რიცხვი ორჯელ მეტია. შედეგი აშკარაა: საქმროები მდიდარ საცოლეებს ეძებენ, ხოლო ღარიბნი „შტატს გარეთა" რჩებიან.

მარტო მამაკაცთა სიმცირე არ არის გაუთხოვარ ქალთა გამრავლების მიზეზი. წვრილ ბურჟუაზიაში ქალები განათლებით ბევრად მაღლა სდგანან კაცებზედ და ძალიან ხშირად არა თხოვდებიან მხოლოდ იმ მიზეზით, რომ შესაფერ საქმროებს ვერ პოულობენ. საშუალო წრის ახალგაზდა ინგლისელი, შესრულდება თუ არა თექვსმეტის წლისა, თავს ანებებს სწავლას, რომელსამე სავაჭრო დაწესებულებაში შედის, ან ახალშენში მიდის და, როგორც საქმის კაცი, მაშინვე იწყობს არსებობისათვის ბრძოლას. ასეთი ბრძოლა ხასიათს უმტკიცებს ადამიანს, გონებას-კი მაინცა და მაინც ვერ უმდიდრებს. სულ სხვა მდგომარეობაშია ქალი; იგი სასწავლებელს თავს არ ანებებს და სწავლის დამთავრების შემდეგაც გულმოდგინედ მეცადინეობს და კითხულობს წიგნებს. რაღა საკვირველია, რომ ასეთი გონება გამდიდრებული ქალი აღარ მისთხოვდეს მართალია მდიდარს, მაგრამ უვიც კაცს. არისტოკრატიაშიაც ამასვე ვხედავთ: უფროსი შვილები მამის მემკვიდრეებად ხდებიან, უმცროსნი ჯარში შედიან, ან ახალშენებში სცხოვრობენ, ქალები-კი საშუალო სწავლას ათავებენ, უმაღლეს სასწავლებელში შედიან და საკუთარის შრომით სცხოვრობენ.

გაუთხოვარ ქალთა უმთავრეს სამოქმედო ასპარეზს ინგლისში სკოლა და პედაგოგია შეადგენს. გერმანიასთან და საფრანგეთთან შედარებით დაბალ სკოლების მასწავლებელ ქალებს მცირე ჯამაგირი ეძლევათ. უფრო კარგს ჯამაგირს, — 800—1000 მანეთს, ზოგან მეტსა , საშუალო სკოლის მასწავლებელნი იღებენ. გასათხოვარ ქალთა უმრავლესობა მაინც კერძო სკოლებსა და სახლებში მოღვაწეობს. ასეთ თავისუფალ მასწავლებელს 800—900 მანეთი ეძლევა წელიწადში. კანცელარიებსა და სხვა დაწესებულებებშიაც ბლომად არიან ქალები გადამწერლებად და სტენოგრაფებად.

ამ ბოლოს დროს ჟურნალისტიკასაც ბევრმა მიჰყო ხელი. ლონდონში მწერალ-ქალებს საკუთარი კლუბიც-კი აქვთ. ორთა შუა რიცხვით მწერალი-ქალი იღებს 1000-დგან 1500 მანეთამდე, ზოგჯერ მეტსაც. კარგი შემოსავალი აქვთ აგრეთვე მკურნალ-ქალთა და ლექციების მკითხველთაც—800 დგან 3,000 მანეთამდე.

გასათხოვარ ქალთა საცხოვრებლად ამ ბოლოს დროს ლონდონში განსაკუთრებულ შენობებს აგებენ. ასეთ შენობაში ქალს ეძლევა ორი, სამი და ზოგგან ოთხი ოთახიც. ძირითა სართულში სამზარეულოა მოთავსებული, სადაც სადილ ვახშამი მზადდება. ამ სადგომებს უფრო შეძლებულნი ეტანებიან; ღარიბთათვის სხვა, ნაკლებად მოწყობილი, სადგომებია. ასეთ სადგომში 100-დგან 500 მანეთამდე იხდიან. ბევრი ერთ ოთახსაც ქირაობს. ამ ოთახებში იმნაირი კრაოტებია, რომ დღისით დივნებად შეიძლება მათი გადაკეთება. უფრო იაფია სადგომები მუშათა უბნებში. იქ სამი ოთახი სამზარეულოთი წელიწადში 150—200 მანეთამდე ჰღირს. ასეთ სადგომებში გაზის მანქანებია გამართული; საკმაოა, შაური ჩააგდოთ მანქანაში, რომ გაზი გაჩნდეს. ნახევარი საათი უკიდია გაზს და ამ ხნის განმავლობაში-კი წყლის ადუღება და საჭმლის მომზადება შეიძლება. თუ მეორე შაურსაც ჩააგდებთ, გაზი ხელ-ახლა გაჩნდება. ასე სცხოვრობენ „старыя дѣвы". მათ, როგორც შრომის მოყვარეთა და ცხოვრებისათვის კარგად მომზადებულთ, ინგლისში ყველანი დიდ პატივსა სცემენ. სხვა ღირსებასთან, ამ წრის ქალები მხიარულნი და კარგი მოსაუბრენიც არიან. ლონდონელნი სამართლიანად ამაყობენ ამ ქალებით.

* * *

ასევე ვერ იამაყებენ ლონდონელნი თავიანთის მოსამსახურეებით. ამ ქალაქში ყველა უჩივის მოსამსახურეს, მდიდარი არისტოკრატიცა და ხელ-მოკლე ბურჟუაც. არც მოსამსახურე-მოახლენი არიან კმაყოფილნი და ამ უკმაყოფილების გამოსაცხადებლად ამას წინად დიდი მიტინგიც ჰქონიათ ჰაიდ-პარკში. აურებელი ხალხი შეკრებია თურმე მიტინგზედ, დაესწრნენ მზარეულნი, მოახლენი, ხელზედ მოსამსახურენი და სხვანი. თავმჯდომარეობდა ერთის რესტორანის მეტრ დ' ოტელი. ბევრი ცხარე სიტყვა წარმოითქვა ამ მიტინგზედ, ბევრმა აღნიშნა მოსამსახურე-მოახლეთა გაჭირვებული მდგომარეობა.

ზოგიერთა სამდურავის მიზეზი საყურადღებოა. ერთი ხელზედ მოსამსახურე სჩიოდა, მაგალითად, რომ ჩემი ბატონი ყოველ დღე ველოსიპედს მაწმენდინებს, რაიცა სრულებითაც არ შეადგენს ჩემს მოვალეობასაო. მეორე — მოახლე ქალი — დიდს უკმაყოფილებას აცხადებდა, დილით ძალიან ადრე მაღვიძებენო. მესამემ სთქვა, ჩემ ქალბატონს ცუდი ჩვეულება აქვს: ძველ ტანისამოსს ჰყიდის და არა მოახლეს აძლევს, როგორც ეს ყველგანაა მიღებულიო. ბევრმა სამდურავი განაცხადა იმის გამო, რომ იმ ოჯახებში, სადაც ისინი მსახურებენ, ცუდი სიგარები და სასმელები აქვთ.

კრებამ დაადგინა ერთხელ კიდევ მოახდინოს მიტინგი. ამ მიტინგმა საბოლოოდ უნდა გადასწყვიტოს, აღკვეთონ თუ არა მოსამსახურეებმა მუშაობა იმ დრომდე, ვიდრე იმათ სურვილს დააკმაყოფილებენ.

ი. პ—ძე

— ამ ცოტა ხანში ალკოგოლიზმის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია განიხილავს დ. ა. დრილის პროექტს სააქციონერო ამხანაგობის დაარსების შესახებ. ამხანაგობას აზრად ექმნება ჰიგიენის მხრივ მოწყობილ შენობათა აგება პეტერბურგის ღარიბ მცხოვრებთათვის.

— შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა სამკურნალო საბჭომ განმარტა საკითხი—ძველ, გაუქმებულ სასაფლაოებიდგან რაოდენ მანძილზედ შეიძლება საცხოვრებელ სახლების აგება და რამდენი წლის შემდეგ გაუქმებიდგან. რადგანაც ამის შესახებ პირდაპირ არაფერია ნათქვამი და რადგანაც ამ საქმის გადაწყვეტის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილ-მდებარეობის, ნიადაგის და სხვათა გაგებას, დეპარტამენტმა საჭიროდ სცნო ადგილობრივმა სამკურნალო გამგეობებმა დაათვალიერონ ხოლმე გაუქმებული სასაფლაოები და აცნობონ იმათი ადგილ-მდებარეობა, ნიადაგის თვისება, აგრეთვე ის, არის სადმე მახლობლად წყალი თუ არა, და სხვა. დეპარტამენტი მხოლოდ ასეთის ცნობის შემდეგ გადასწყვეტს, დართოს თუ არა ნება გაუქმებულ სასაფლაოს ადგილას საცხოვრებელ შენობების აგებისა.

— რადგანაც უფულობის გამო შეუძლებლად სცნეს ლედათა უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსება, ლაპარაკია აძრული იმის შესახებ, რომ ლედათა კურსებთან დაარსებულ იქმნას სასოფლო-სამეურნეო განყოფილება: ამ განყოფილების მოსწავლე-ქალთ ნება მიეცემათ, რომ პრაქტიკულ მუშაობებისათვის ზაფხულ ხანს ვაჟთა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა დაწესებულებებში იარონ ხოლმე. ამ განყოფილების დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად საერო განათლების სამინისტროსთან შესდგა განსაკუთრებული კომისია.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგა ცნობების შეკრებას წვრილ ფეხა საქონლის—ღორების, ხბორების, ცხვრებისა და თხების შესახებ. მთავრობას აზრადა აქვს გარდასახადი წვრილფეხა საქონელზედაც გააწეროს და ეს ცნობები იმიტომ არის საჭირო.

— ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს ამ ცოტა ხანში მიიწვიოს მცოდნე კაცები სოფლის მცირე-წლოვან მუშათა სამუშაო დღის მოწესრიგების საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. თავისს გრძელს მოხსენებაში სამხრეთ აფრიკის საქმეთა მდგომარეობას ალფრედ მილნერი ერთობ უნუგეშოთ ასურათებს. ნახევარის წლის წინად კაპის ახალშენი მტრისაგან სრულიად თავისუფალი იყო, ორანჟელ ბურებისა და ტრანსვაალელთა უმეტესობა თავისის ნებით დაემორჩილა, წესიერება აღდგენილ იქმნა და მუშაობაც დაიწყესო და ახლა-კი კაპის ახალშენი ბურების რაზმებით სავსეა, აფრიკანდერები ან აჯანყებულნი არიან, ან-და აღარა ჰმალავენ და ბურებს გამოტეხილად ემხრობიან, თანაგრძნობას უცხადებენ; დამორჩილებულმა ბურგერებმაც, რომლებსაც ინგლისელნი თვალყურს სასტიკად ვერ ადევნებდნენ, ხელ-ახლად იარაღი აისხეს. ნივთიერადაც სამხრეთ აფრიკამ ამ უკანასკნელს ნახევარს წელს შედარებით მეტი ზარალი ნახა, ვიდრე ომის დაწყებიდგან ერთის წლის განმავლობაში. მილნერი ინგლისის საზოგადოებას ესა უყვედურებს, რომ ბურებისათვის ასე ჰზრუნავენ; მილნერის აზრით, ასეთის ზრუნვის ღირსნი ბურები-კი არა, სამხრეთ აფრიკის დანარჩენნი, უფრო ერთგულნი მცხოვრებნი არიან.

— ინგლისურ გაზეთების ოპტიმისტური შეხედულება ომის შესახებ, რომელზედაც ამ დღეებში გაუწყებდით, მარტის დღეს ძალიან წააგავს. დღეს თუ დარწმუნებულნი არიან, რომ ომი მალე გათავდება და გამარჯვებულნი ინგლისელნი დარჩებიან, მეორე დღეს უბრალ ამ შეხედულებას უიმედობის ბურუსი ჰფარავს და ჩივილსა და ეჭვს ომის ასე თუ ისე დასრულების შესახებ საზღვარი აღარა აქვს. სწორედ ამაზედ იტყვიან ხოლმე ჩვენში: ასე, ჩემო მანასე, ხან ისე და ხან ასეო! თუ არა გჯერათ და ზემოდ მოხსენებული მილნერის მოხსენება საკმაოდ სარწმუნო საბუთად არ მიგაჩნიათ, ინგლისში დიდად გავრცელებულ და გავლენიან „Times“-სა და „Standard“-ის კორრესპონდენტების შეხედულებასაც მოგიშველიებთ: როგორც აღნიშნულის გაზეთების კორრესპონდენტები იწერებიან, ბრძოლის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი ხანი თურმე გავა და საჭირო თურმე ინგლისმა მომშველი ჯარი ჩქარა გაუგზავნოს, თუ ჰსურს სირცხვილი არა სჭამოს. „ბურებმა ყველა იციან, სად კარგი წყალი მონახონ, სად საზრდო და ცხენების საკვებიო,—სწერს „Times“-ის კორრესპონდენტი,—და მტერზედ თვალ ყურის დევნების საქმე და სამსახურიც უკეთესად აქვთ მოწყობილიო“. ინგლისელთა თითოეული მოძრაობა ბურებმა ადრევე იციან და ამისათვისაც არ უჭირდებათ და საფრთხეს დროზედ გაექცევიან ხოლმეო. როგორც „Standard“-ი სწერს, ბურებს ამ ჟამად 20 ათასი კაცი თურმე ჰყავთ შეიარაღებული და ძალიანაც არიან ინგლისელების წინააღმდეგ გამწვავებულნიო. ინგლისის მოლოდინ-მოქანცულ მხედრობას ამ რიგად ჯერ კიდევ დიდხანს მოუხდება მხნე და გამბედავ, სასიკვდილოთ თავ-გადადებულ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაო.

— კაპშტადტიდგან ატყობინებენ ლონდონის გაზეთებს:

„როგორც იტყობინებიან, ორანჟეს ახალშენის ზოგიერთა რაზმების ბურები დღემდის დათხოვნილნი ყოფილან; ახლა-კი ისევ იკრიბებიან თურმე. ამის გამო ადგილი შესაძლებელია ბურების მოძრაობამ ამიერიდგან ერთი ორად იმატოს და უფრო მეტი მხნეობა გამოიჩინონ. როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ქრისტიანე დევეტი და ბოტა 8 აპრილს გეიდბრონის მახლობლად ყოფილან, ხოლო 11 აპრილს ვიტკოპის მახლობლად.

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

როგორც ამ ბოლოს დროს გამოქვეყნებულ ცნობებიდგანა სჩანს, შეერთებულ შტატებში სულ 79 მილიონი სული მცხოვრები ყოფილა. აქედან პიანინო ორ პროცენტსა ჰქონია. პირველის შეხედვით ეს ორი პროცენტი ცოტა სჩანს, ნამდვილად-კი იგი 1,580,000 პიანინოს შეადგენს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პიანინოები უმთავრესად ქალაქებში აქვთ, მაშინ ადვილად შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ იანკები მუსიკის მოყვარული ხალხია.

* * *

ბოსტონელ პროფესორს ელიშაო გრეის გამოუგონია ერთ გვარი ზარი, რომელიც გემისთვის მეტად გამოსადეგია თურმე. ამ ზარს ზღვაში უშვებენ და ისე უკრავენ. ზარის ხმა წყალ ქვეშ 12 მილის მანძილზედ ისმის.

* * *

როგორც უკანასკნელ ცნობებიდგანა სჩანს, ავსტრო-უნგრეთის ჯარში მსახურებს სულ 400,000 სლავიანი, აქედგან: 174,280 ჩეხი და სლოვაკია, 75,672 პოლონელი, 74,514 ხორვატი, 27,513 სლოვენტი, 47,286 რუსინი. ამას გარდა 122,234 უნგრელი, 74,675 რუმინელი, 13,669 იტალიელი და 27,230 ნემეცი.

* * *

პარიჟში ყველა ტროტუარების სიგრძე 1,587,949 მეტრს უდრის. იმ მუშათა რიცხვი, რომელნიც ქუჩებსა და ტროტუარებს უვლიან და ანათებენ, 6000 კაცამდე ავიდა. აქედგან 3,753 კაცის საქმეს ქუჩებისა და ტროტუარების დაგვა-დასუფთავება შეადგენს. ამ საქმეს (ქუჩებისა და ტროტუარების დაწმენდა-დასუფთავებას) ქალაქი წელიწადში 9 მილიონამდე მანეთს ანდომებს.

◆

გამოსადეგი ცოდნა

როგორ შეიძლება გაიგოთ სახლი ნოტიოა, თუ არა.

ეჭვი არ არის, აქ ლაპარაკია სულ მცირე ნოტიოზედ, რომელიც თვალით აგრე ადვილად შესანიშნავი არ არის და ვნება და ზარალი-კი ჯანმრთელობისათვის დიდი მოაქვს. თქვენ, მაგალითად, გსურთ შეიტყოთ ამა თუ იმ ოთახის რომელიმე კედელი ან კუთხე ნოტიოა თუ არა. როგორ და რა ნაირად შეიძლება გაიგოთ? აი, სულ უბრალო და უტყუარი ნამდვილი საშუალება: უნდა შუშას კარაქი ან ერბო წაუსვათ, აიღოთ შემდეგ ჟელატინის ფურცელი, კარგად დაასველოთ და თხლად თანაბრად გააკრათ შუშასა; მერმე ეს ჟელატინა ჰაერზედ დაბაზად გააშროთ, ფრთხილად ააგლიჯოთ, გრძელ-გრძელ ნაჭრებათ დასჭრათ და მშრალად შეინახოთ.

ამ რიგად მომზადებული ჟელატინის ნაჭრები ზემოდ ნათქვამის გამოსაკვლევად საუკეთესო რამ არის. უნდა აიღოთ ჟელატინის ასეთი ნაჭერი და კედელს ანუ გამოსაკვლევს კუთხეზედ მძიმედ გაატაროთ შორი-ახლოს, ისე-კი, რომ კედელს არ მოჰხვდეს: თუ რომ ჟელატინის ნაჭერი მოიკუმშება და დაიგრიხება, სჩანს კედელი ნოტიო ყოფილა, თუ არა და—მშრალი.

აღნიშნული საშუალება ნოტიოს აღმოსაჩენად იქამდის ნამდვილი და ადვილად გამგებია, რომ სხვა უკეთესი საშუალება საჭირო აღარ არის.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 აპრილი

იოკაჰამა. სამინისტრო კრიზისი დაბოლოვებულად ითვლება.

პეკინი. საერთაშორისო რაზმი, 800 კაცისაგან შემდგარი, გაგზავნილია შანჰაიგუანიდგან იმ ავაზაკთა ბრბოს დასასჯელად, რომელიც ებრძოდა პენჯაბის რაზმს. ამ ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა მაიორი ბრაუნინგი. ავაზაკები მთებში გაიქცნენ. მოკლული ჰყავთ 50 კაცი. რადფორდი დაედევნა ავაზაკთა ბრბოს. ბრაუნინგის გვამი იპოვნეს.

ტიანძინი. შანხაიგუანის ახლოს ინგლისელებმა იპოვნეს დედამიწაში ჩაფლული 19 ზარბაზანი და ბრძოლის მასალა.

ლონდონი. „Standard“-ი იუწყება, რომ გიკს ბიჩმა პირობა მისცა დაწვრილებით განვიხილავ იმ წინადადებას, რომ გატანილ ნახშირს გარდასახადი წონის კვალობაზედ კი არ ერთმეოდეს, არამედ ღირებულობის კვალობაზედ, იაფს ნახშირს 8—9 პენსი, ხოლო ძვირს—18 პენსამდე.

პეკინი. იუწყებიან, რომ საფრანგეთისა, ინგლისისა და იაპონიის ჯარის-კაცთა რაზმმა იძულებულ ჰყო ჩინელ მძარცველთა ბრბო შანჰაიგუანიდგან უკან დაეწია. მრავალი ჩინელია მოკლული; ევროპიელთაგან რამდენიმეა დაჭრილი. ბრბო ჯერ სრულიად არ არის გაფანტული.

გაზეთები უარ-ჰყოფენ იმ ხმას, რომ ვითომ ნიუჩუანში რუსი დაენიშნოთ სადამოენო კომისსარად. კომისსარად ისევე ინგლისელია თურმე.

პეტერბურგი. საფრანგეთისა და რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრები ცარსკოე სელოში იყვნენ. დელკასე ინახულეს ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორის ასულმა და მიიწვიეს უმაღლესს საუზმეზედ, რომელსაც დაესწრნენ სასახლის მინისტრი და გარეშე საქმეთა მინისტრი.

13 აპრილი

ბარცელონა. რუსეთის ესკადრა საბერძნეთს წავიდა.

პეკინი. საერთაშორისო ჯარი, რიცხვით 800 კაცი, პოლკოვნიკის რადფორდის თავმჯდომარეობით, გავიდა შანჰაიგუანიდგან იმ ავაზაკთა ბრბოს დასასჯელად, რომელსაც ფინინფუსთან ბრძოლა ჰქონდა პენჯაბის მეოთხე ქვეითა რაზმთან და რომელ ბრძოლის დროსაც მოკლულ იქმნა მაიორი ბრაუნინგი. ავაზაკებმა რადფორდს წინააღმდეგობა გაუწიეს. რადფორდის რაზმიდგან მოკლულ იქმნენ ექვსი ინგლისელი, ორი იაპონელი და ერთი ფრანგი. ავაზაკებს დაეხოცათ 50 კაცი და მთებში გაიქცნენ, რადფორდის მიერ დევნულნი. ბრაუნინგის გვამი იპოვნეს.

იოკაგამა. მინისტრთა საბჭოს სხდომაზედ ფინანსთა მინისტრმა განმარტა თავისი საფინანსო პოლიტიკა. განმარტებას კარგად მიეგებნენ.

მაინის ფრანკფურტი. გრიზგეიმის საქიმიო ქარხანაში „ელექტრონში“ სამმა ქვაბმა იფეთქა, რის გამოც ცეცხლი გაჩნდა; იწვის აგრეთვე შვანგეიმის ქარხანა, მაინის იქითა ნაპირზედ. მახლობელ შენობათაგან ზოგს ცეცხლი წაეკიდა, ზოგი დაინგრა. იქითა ნაპირზედ გაჩენილი ცეცხლი ჩქარა ჩააქრეს. გრიზგეიმის მკვიდრნი გაიხიზნენ აფეთქების შიშით. რვის ნახევარ საათზედ უკანასკნელი აფეთქება მოხდა და მკვიდრთ ნება მიეცათ სახლებში დაბრუნებისა. ცეცხლი ჯერ არ გამქრალა. როგორც ამბობენ, მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ასამდე უნდა იყოს. ნამდვილი მაშინ გამოირკვევა, როდესაც მომუშავეთა ნუსხას შეადარებენ ცოცხლად დარჩენილთა რიცხვთან.

პრეტორია. მაიორი ტაუაიფორდი მცირე რაზმით მახადოდორპიდგან ლეიდენბურგის გზაზედ, ბადფონტეინის მახლობლად საფარში მოჰყვა. ტაუაიფორდი მოკლულია; მისნი ჯარის-კაცნი მამაცურად წინააღმდეგობის შემდეგ დამარცხებულ იქმნენ.

სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში გასახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

შაბათს, 14 აპრილს

ნიკოლოზ ქაჯარიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლა ედება ბრალად.

სოლომონ კუჭუხიძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1641,115 და 1459 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდება.

თეოფილე ბაბუნაიშვილისა, რომელსაც ქურდობის ჩადენა ბრალდება.

ვასილ აიდიაშვილისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

ვლადიმერ გვიმრაძისა—კაცის მძიმედ დაჭრა ედება ბრალად.

◆

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ, 18 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზედ გამგეობის სადგომში მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაცემა მიწის ნაჭერი ალექსანდროვის ბაღში, ზომით 30 ოთხ. კ. საქვე-შენობების ან პავილიონის გასამართავად, სადაც უნდა გაიყიდოს რძე, ჩაი, ყავა, შოკოლადი, გასაგრილებელი სასმელები და ცივი საჭმელები. უნდა წარმოდგენილ იქმნას ბე 100 მანეთი.

დაწვრილებით განხილვა პირობებისა შეიძლება გამგეობის სადგომში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 16 აპრილს, შუადღის 12 საათზედ გამგეობის თანადასწრებით მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა ბეტონის წყლის სადენ მილის გამართვის საქმე. მილი უნდა გაიმართოს მილიუტინის ქუჩაზედ დოლინსკის სახლის ალაყაფის კარებიდგან რუქსის სახლამდე ანდრეევის ქუჩაზედ. სამუშაო სულ 4000 მანეთისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გაისინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9-დგან 3 საათამდე. (3—6.—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го Апрѣля 1901 г.

სტამბა მ. შარაძის და ამხ.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.